


**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
**ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ**
**სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
**თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე**--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
(სახელი, გვარი)
**წევრ(ებ)ი: თამთა კამკამიძე**-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
(სახელი, გვარი)

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

## ნაწილი I. შესავალი

***<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>***

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 225361202 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი ბოლნისი |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. 121 |
| საფოსტო ინდექსი | 1100 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლა |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | bolnisi1@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში) | 591990591 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 29 დეკემბრის №1857449 ბრძანება<br>ცვლილება 2026 წლის 22 იანვრის ბრძანება MES 5 26 0000052474 |

| | |
|---|---|
| | |
| ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში) | **03-04 თებერვალი 2026 წელი** |

## VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 29 დეკემბრის №1857449 ბრძანებაში ცვლილება 2026 წლის 22 იანვრის ბრძანება MES 5 26 0000052474 საფუძველზე, 2026 წლის 03 და 04 თებერვალს, ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით, სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის №1 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები. განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი.
ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის განმვალობაში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციალა ყველა ის აქტივობა, რაც გაწერილი იყო წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით. ჩატარდა დაწესებულების წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუები შესაბამისი წესების დაცვით. მათი მხრიდან იყო მიმღებლობა და ხელშეწყობა ვიზიტის სრულფასოვნად განსახორციელებლად.

## VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

| საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|
| 1210 მოსწავლე | **882 მოსწავლე** |

## VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციის, კარიერული დაგეგმვიის და არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით. 2024 წლიდან სკოლამ მოიპოვა, პროფესიული პროგრამა-კომპიუტერული ქსელები და სისტემების განხორციელების უფლება. არაფორმალური კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით სკოლა ქმნის კლუბებს და წრეებს, თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერით ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს. სკოლაში ფუნქციონირებს თეატრალური კლუბი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: „გალაკტიონი“, „ვაჟა“, „სულის პური“(რევაზ ინანიშვილისადმი მიძღვნილი), „თბილისური საღამო“, „ანა კალანდაძის შემოქმედებითი საღამო“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის საღამო“, საახალწლო მეჯლისი, „აბა, გოგონებო“ (სახალისო შეჯიბრი). კლუბის-„ნორჩი ნატურალისტების“ წევრებმა შექმნეს ჯანსაღი სარეცხი საშუალება „ნაცარტუტა“, რომელიც პოლონეთში, ვარშავის სამეცნიერო პიკნიკზე წარადგინეს. ასევე, აქტიურად მუშაობს სკოლაში „ეკოკლუბი,“ რომლის წევრები ხშირად იღებენ მონაწილეობას დასუფთავებაში, მეორადი ნივთების გამოყენებასა და სხვა აქტივობებში. სკოლისთვის მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტის სწავლების გაძლიერება, მუნიციპალიტეტის ფარგლებში ჩატარებული სასკოლო ოლიმპიადაში სკოლა წლებია პირველ ადგილ იკავებს ფეხბურთში და ფრენბურთში. სასკოლო ლიგის გამარჯვებულია სკოლის გუნდი და საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა ამავე სკოლის მოსწავლე. სკოლას ჰყავს ჭადრაკის წარმატებული მოთამაშეები.

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, მათი ჩართულობით და ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს. კერძოდ, სკოლის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა წიგნი „ჩემი 75“, აღნიშნულ ღონისძიებაში ასევე აქტიურად იყო ჩართული სკოლის კურსდამთავრებულებიც. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით სკოლა აუმჯობესებს სკოლის ინფრასტრუქტურას და მატერიალურ რესურს არაფორმალური განათლების ხელშესაწყობად. მუნიციპალიტეტის ფინანსური დახმარებთ სკოლის სააქტო დარბაზის სკოლამ შეიძინა ელექტრონული ფორტეპიანო.

სკოლის ადმინისტრაცია მხარს უჭერს და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების სურვილებს და საჭიროებებს, რისი ნათელი დადასტურებაა სკოლის მეორე სართულის ფოიეში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით მოწყობილი საგანმანათლებლო და გასართობი სივრცეები. კერძოდ, მაგიდის ფეხბურთი და ტენისის მაგიდა, ასევე, რბილი ავეჯი და პუფები, სადაც მოსწავლეები შეძლებენ დაისვენონ, იმუშაონ პროექტებზე, ჯგუფურ სამუშაოებზე, კლუბის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებზე. სივრცე გალამაზდა მათივე მოვლილი მცენარეებით და თვითონვე მოხატეს კედლები.

## IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციას, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა და ხარვეზის გამოსწორების მასალები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შეიცვალა 1.2.1.3; 1.2.2.2 და 3.6.3.5 ინდიკატორების შეფასება და გადავიდა სრულ შესაბამისობაში. ხარვეზის აღმოსაფხვრელად წარმოდგენილია შემდეგი მტკიცებულებები:
1.სსიპ-სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის ბრ. N 2-22-ით დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი N3; 08/09/2025-2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებაზე.
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი N20; 16/06/2025- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების განხილვა.
4.სამუშაო ჯგუფის სხდომის N1 ;01/09/2025 2025-2026 წლისს სამოქმედო გეგმის შემუშავება.
5. სკოლის ვებგვერდის მისამრთი.
შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ინდიკატორები: 1.2.1.2; 3.1.2.3; 3.4.1.2 და 3.5.1.4 გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო ინდიკატორი 3.4.1.1 ნაწილობრივ შესაბამისობაში.
3.4.1.2 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა სამოდიცინო ოთახში პრივატულობის დაცვის მიზნით შირმის არსებობის მტკიცებულება ფოტომასალის სახით. ასევე გაითვალიწინა 3.6.2.1 ინდიკატორთან მიმართებით გაცემული რჩევა, მოსწავლის პირადი საქმეები ინახებოდეს დაკეტილ კარადებში. მტკიცებულებად წარმოდგენილია ფოტომასალა.
არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები:

1. საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების წერილი MIA 9 26 00527525; 16/02/2026
2. ექიმის ვაკანსიის გამოცხადების ლინკი
3. 2026წლის 19 თებერვლის სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულება N10 - ლითონის კონსტრუქციის პანდუსის დამონტაჟებაზე
4. სსიპ-სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის ბრ. N 1კ-10---სკოლაში სახანძრო უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკრი საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
5. 2026წლის 6 თებერვლის ხელშეკრულება N12 (გამარტივებული შესყიდვის შესახებ)-ცეცხლმაქრები

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)*[2]

| *სტანდარტი N1* | **სკოლის ფილოსოფია** | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ინდიკატორი 1.2.1.2 | სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს | შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026წლის მარტი 2026წლის ივნისი) სკოლამ უზრუნველყოს, მეთოდოლოგიდ შესაბამისად სტრატეგიულ გეგმას მონიტორინგი და მონიტორინგ შედეგების შესაბამისად სტრატეგიული გეგმის უფლებამოსილი პირ მიერ დამტკიცება |
| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| ინდიკატორი 3.1.2.3 | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით | შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის თებერვალ -2026 წლის ივნისი) სკოლამ უზრუნველყოს, ყველა დასაქმებულს ჰქონდეს კანონით გათვალისწინებული ცნობები. კერძოდ, ცნობები ,,უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. |
| ინდიკატორი 3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ | შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026წლის 3 თებერვალი -2028 წლის 3 თებერვალი) სკოლამ უზრუნველყოს, შენობა ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებით დასკვნის მოპოვება. |

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) | |
| ინდიკატორი 3.4.1.2 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას | შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026წლის 20 თებერვალი -2026 წლის 20 მაისი) სკოლამ უზრუნველყოს, კვალიფიციური ექიმის დასაქმება, რომელსაც ექნება კანონმდებლობის შესაბამისი განათლება და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატი. |
| ინდიკატორი 3.5.1.4 | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს | შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის 3 თებერვალი -2026 წლის 3 სექტემბერი) სკოლამ სრულად უზრუნველყოს სწავლის ინკლუზიურ გარემოს შექმნა. |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

## V. რჩევები

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| **ინდიკატორი N 1.2.1.3** | სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. | სასურველია, სამოქმედო გეგმაში ზუსტი დასახელებით აისახოს, სტრატეგიული გეგმაში გაწერილი ის მიმართულებები, მიზნები და ამოცანები, რომელის შესრულებაც განსაზღვრულია 2025-2026 წლისთვის, ასევე სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შინაარსობრივად არ ფარავდეს ერთმანეთს. |
| **ინდიკატორი N 1.2.1.4** | სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. | სასურველი, შესრულების ინდიკატორი იყოს გაზომვადი, რათა მოხდეს  დაგეგმილი აქტივობების შედეგების პროგრესის შეფასება რაოდენორივ და თვისობრივ ჭრილში. |
| **ინდიკატორი N.1.2.2.3** | სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა | სასურველია სკოლამ, ვებ/გვერდზე, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების  შედეგებთან ერთად, გამოაქვეყნოს  სამეურვეო საბჭოზე განხილული სამოქმედგო გეგმის ანგარიში. |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| **ინდიკატორი 3.4.1.1** | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ | სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების  სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში. |

| | | |
|---|---|---|
| | ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) | |
| **ინდიკატორი 3.4.1.6** | სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების  დაცვას. | სასურველია სკოლას ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის მონაცემები რეგისტრირებული იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ გვერდზე |
| *სტანდარტი N4* | *მოსწავლეთა მხარდაჭერა* | *რჩევა* |
| **ინდიკატორი 4.1.2.1** | სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; | სასურველია, ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი“ დაკორექტირდეს იმგვარად, რომ მასში გაწერილი საკითხებით რეგულირებოდეს საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა და სტატუსის შეჩერება. |
| | | |

*VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

| *სტანდარტი N3* | *წინა ვიზიტის ფარგლებში* გაცემული რეკომენდაცია | შესრულების სტატუსი |
|---|---|---|
| **ინდიკატორი N 3.1.2.3**<br>პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით | სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლბით დადგენილი ცნობების წარმოდგენა შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში. (21.09.2023-30.11.2023-მდე ) | **არ არის**<br>**დაკმაყოფილებულია** |
| **ინდიკატორი N 3.4.1.1**<br>სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას | სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (16.11.2023- 15.06.2024-მდე) უზრუნველყოს:<br>✓ დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ;<br>✓ დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.<br>✓ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმოს შესაბამის სამსახურთან. | **სრულად არ არის დაკმაყოფილებული.**<br>კერძოდ, სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს<br>1. შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნა. |
| **ინდიკატორი N 3.51.3( N 3.51.4)**<br>სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს | სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში 1.11.2023-29.12.2023-მდე)<br>უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ პირთათვის. | არ არის<br>დაკმაყოფილებულია |
| სტანდარტი N2<br>მოსწავლეთა მხარდაჭერა | *წინა ვიზიტის ფარგლებში* გაცემული რეკომენდაცია | შესრულების სტატუსი |
| **ინდიკატორი** N 2.2.2.5.<br>სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის | სკოლამ უზრუნველყოს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება | დაკმაყოფილებულია |

| | | |
|---|---|---|
| ვერიფიკაციის<br>მექანიზმი; | შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (16.11.2023-30.12.2023 -მდე) | |

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს  მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. გაცხადებული მისიით და ხედვით სკოლა იღებს ვალდებულებას, რეგიონში გახდეს ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც ზოგადი განათლების ასევე პროფესიული სწავლების მიმართულებით, შექმნას განვითარებაზე ორიენტირებული შიდა სისტემები, მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა პოტენციალის გამოსავლენად და განსავითარებლად, რომლებიც შეძლებენ სამყაროს შეცვალონ უკეთესობისკენ. სკოლა, მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, გეგმავს არაფორმალური განათლების გაძლიერებით.

სკოლის მისია ჟღერს შემდეგნაირად ,,მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენა და განვითარება, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სიახლის შეცნობის მსურველ, განათლებულ და მზრუნველ მსოფლიო მოქალაქეებად, რომლებსაც შეუძლიათ გამოიჩინონ ინიციატივა სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად. არაფორმალური განათლების გაძლიერების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, კლუბური მუშაობის ხელშეწყობის, სპორტის სწავლების წახალისების გზით შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად. სკოლა იზრუნებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რისთვისაც უზრუნველყოფს სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და პროფესიული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას. ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ბიზნესის პარტნიორობის განვითარებას. ეს კი მთლიანობაში განაპირობებს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების ზრდას“.

სკოლის ხედვაა ,,ჩვენ გავხდებით რეგიონში აღიარებული ზოგადი განათლებისა და პროფესიული სწავლების ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც განვითარებაზე ორიენტირებული მოქნილი შიდა სისტემის ჩამოყალიბებით იზრუნებს მოსწავლეთა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების მუდმივ დაკმაყოფილებასა და მათი უნარ-ჩვევების გამოვლენა/განვითარებაზე. შესთავაზებს ხარისხიან განათლებას, ხელს შეუწყობს კარიერულ წინსვლას და უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრებით“.

**ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, შიდა სასკოლო დოკუმენტაცია, განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას. კერძოდ, ფილოსოფიით გაცხადებული მიზნების მიღწევას სკოლა გეგმავს პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვით, ასევე განვითარებაზე ორიენტირებული მოქნილი შიდა სისტემის ჩამოყალიბებით, სადაც მოსწავლეები და პროფესიული სტუდენტები შეძლებენ პიროვნულ ზრდა-განვითარებას. არაფორმალური განათლების ფარგლებში შექმნილი მრავალფეროვანი კლუბები, სკოლაში არსებული სოციო-კულტურული სიცრცეები: სააქტო დარბაზი, დერეფანში მოწყობილი მოსასვენებელი კუთხე, სპორტული დარბაზი, თვითმართველოის ოთახი, ისტ-ის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტები მოსწავლეს აძლევს საშუალებას ინტერესების და საჭიროებების გათვალიწინებით ჩაერთოს მრავალფეროვან ღონისძიებებში, ჩამოყალიბდნენ სიახლის შეცნობის მსურველ, განათლებულ და მზრუნველ მოქალაქეებად, რომლებსაც შეუძლიათ გამოიჩინონ ინიციატივა სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად, რაც ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ ზრდა განვითარებას.

**ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორის ბრ. N2-12-ით დამტკიცებული მეთოდოლოგიური დოკუმენტით, ,,მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, განსაზღვრულია ძირითადი პრინციპები, რომლებიც ითვალიწინებს მისია, ხედვა და ღირებულებების თანამონაწილეობით პროცესით შემუშავებას. პროცესი ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით. მეთოდოლოგიური დოკუმენტის ითვალსიწინებს სკოლის ფილოსოფიაში ცვლილების შეტანის საკითხებს, რომელიც ასევე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ხორციელდება. ადგილზე ვიზიტის დროს, სკოლამ დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად წარმოდგინა 2023 წლის 18 სექტემბრის N1კ-29 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაშია, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, ასევე თემის წარმომადგენელი. 2024-2025 სასწავლო წლიდან სკოლამ დაიწყო ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის განხრციელება, რაც გახდა სკოლის ფილოსოფიაში ცვლილების მიზეზი. ცვლილება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რისი მტკიცებულებაცაა სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024 წელს შექმნილი სამუშაო ჯგუფის ბრძანება. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმით (სხდომის ოქმი-1; 18/09/2023) დგინდება, რომ სკოლის ფილოსოფიის

პროექტის შემუშავება მოხდა სამუშაო ჯგუფის წევრების მსჯელობისა და შეჯერების საფუძველზე, სადაც გათვალიწინებულია სკოლის პრიორიტეტები და ზგემის მიზნები. შემუშავებული სკოლის ფილოსოსოფიის პროექტი გაზიარდა სასკოლო საზოგადოებასთან. საბოლოო სახით მიღებული სკოლის ფილოსოფია  გახდა სტრატეგიული გეგმის ნაწილი.

**ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

4. მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის გაზიარების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის გაზიარების მტკიცებულებები. პედ. საბჭოს , სამეურვეო საბჭოს, კათედრის და მშობელთა კრების ოქმები. ინტერვიუთი ირკვევა, რომ სკოლის ფილოსოფია გაზიარდა მოსწავლეებთან და მშობლებთან. კერძოდ, დამრიგებლებმა მშობელთა კრებებზე და სადამრიგებლო საათზე უზრუნველყვეს სკოლის ფილოსოფიის საჯარო გაცნობა და განხილვა.

**ინდიკატორი  1.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

5. მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის  ფილოსოფია განთავსებულია სკოლის ვებგვერზე და სკოლის სივრცეში თვალსაჩინო ადგილზე- საინფორმაციო დაფაზე. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი ირკვევა, რომ ისინი იცნობენ სკოლის ფილოსოფიას  და იციან სად არის შესაძლებელი მისია, ხედვა ღირებულებების გაცნობა.

**ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია**

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო სკოლის წესდების“ მიხედვით, სკოლის სახელწოდება, სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ.ბოლნისის №1 საჯარო სკოლა, სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

**ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2025 წელის 3 თებერვლი ბრ. N 2-12-ით დამტკიცებული,,მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“
- 2023 წლის 18 სექტემბრის  N1კ-29 ბრძანება დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი-1; 18/09/2023
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი -2; 21/09/2023
- დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი

- მშობელთა კრების ოქმი
- კლასის საათის ოქმი
- სკოლის ვებ- გვერდი: სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლა
- სკოლის ფეისბუკგვერდი: https://www.facebook.com/bolnisispirveliskola
- 2023-2030 შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრ. N 2-12-ით დამტკიცებული აქვს ,,მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია", რომელიც განსაზღვრავს სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მათი პრიორიტეტებისა/ინტერესების გათვალისწინებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესები მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის ფორმატით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით. შემდეგ ხდება მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. სკოლის დირექტორი მიერ განხილული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ და ზიარდება სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებული მხარეებთან. მეთოდოლოგიური დოკუმენტი ადგენს დირექტორის უფლებამოსილებას, შემუშავებული გეგმები უკან დაუბრუნოს სამუშაო ჯგუფს შემდგომი გადამუშავებისათვის. გადამუშავებული გეგმების წარდგენის ვადა განისაზღვრება 10 სამუშაო.

**ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლამ წარმოდგინა, 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითრების შვიდწლიანი გეგმა. დაგეგმვის მეთოდოლოგიით, სტრატეგიული გეგმა მუშავდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც ადასტურებს მის ციკლურობას. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს: შესავალს, ინფორმაციას სკოლის შესახებ, მისიას, მომავლის ხედვას, ღირებულებებს, რესურსებს, სტრატეგიულ ჩარჩოს, გარემოს სიტუაციურ **SWOT** ანალიზსს, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს და ცხრილის სახით წარმოდგენლ სტრატეგიული განვითარების გეგმას წლების ჭრილში სტარტეგიული მიმართულებების/მიზნებისა, ამოცანების, ინდიკატორებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. სტარტეგიული გეგმა მოიცავს 5 სტრატეგიულ მიმართულებას: სკოლის მომსახურების გაუმჯობესება, სკოლაში ხარისხის სისტემის დანერგვა/განვითარება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება.

სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას და ხედვას, რამდენადაც სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიმართულებები (არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება), და მიზნების შესაბამისი ამოცანები (არაფორმალური სივრცეების მოწყობა, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე; კოლეჯის მარეგულირებელი

დოკუმენტების სინქრონიზაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მოთხოვნებთან და სხვა რეგულაციებთან) ხელს შეუწყობს არაფორმალური განათლების გაძლიერებას, სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და პროფესიული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

**დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ** სტრატეგიული გეგმის დამტკიცების საკითხი, არ განხორციელდა მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლის დირექტორის მიერ. წარმოდეგნილი მასალები (სამეურვეო საბჭოს ოქმი-3 20/09/2023 და პედსაბჭოს სხდომის ოქმი -2; 21/09/2023), ადასტურებს, რომ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, სტრატეგიულ გეგმა დამტკიცდა სკოლის პედაგოგიური საბჭო მიერ. **არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმის თანახმად, 2026 წლის მარტი-ივნისის პერიოდში სკოლამ უნდა განახორციელოს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგების გათვალიწინებით განხორციელდება სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებები და მოხდება სტრატეგიული გეგმის დამტკიცება უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას, რამდენადაც სკოლა თვლის რომ შესაბამისობის უზურნველყოფის რისკი 0% და შესაბამისობის გეგმის საფუძველზე იცვლება ინდიკატორის შეფასება.**

**ინდიკატორი 1.2.1.2 მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. **დასკვნის პროექტში აღწერილი იყო, რომ** სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ 4 მიმართულებას და შინაარსობრივად თანხვედრაშია სტრატეგიულ მიზნებთან. თუმცა სასურველია, სამოქმედო გეგმაში ზუსტი დასახელებით აისახოს, სტრატეგიული გეგმაში გაწერილი ის მიმართულებები, მიზნები და ამოცანები, რომელის შესრულებაც განსაზღვრულია 2025-2026 წლისთვის, ასევე სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შინაარსობრივად არ ფარავდეს ერთმანეთს. კერძოდ, სტრატეგიული მიმართულება-სკოლის მომსახურების გაუმჯობესება, მოიცავს სტრატეგიულ მიზანს-სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას და მსგავსი შინაარსის ამოცანას-სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა. ასევე შეიძლება ითქვას მეორე სტრატეგიულ მიმართულებაზე, რომელიც ორიენტირებულია სკოლაში ხარისხის სისტემის დანერგვა/განვითარებაზე.

წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით (ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა, პედაგოგიური საბჭოს ოქმი-1; 05/09/2025) შეიძლება ითქვას, რომ სამოქმედო გეგმა შემუშავდა წინა წლის თვითშეფასების საფუძველზე, რაც ასევე განსაზღვრულია დაგეგმვის მეთოდოლოგიით. თუმცა არ არის წარმოდგენილი 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის, უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცების მასალები. **არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის ბრ. N 2-22-ით დამტკიცებული „სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, სადაც გათვალიწინებულია საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული სკოლის დირექტორის ვალდებულება, სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სკოლის განვითარების სტრატეგია და ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალიწინებით სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების მასალა. კერძოდ,** 2025 **წლის 1 სექტემბრის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1, 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ და 2025 წლის 8 სექტებრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N3. ოქმიდან ჩანს დირექტორი მიერ**

**სამეურვეო საბჭოზე 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის წარდგენა და სამეურვეო საბჭოს მიერ განხილვა და დამტკიცება. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით შეიცვალა ინდიკატორი შეფასება**

**ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

**4.**სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სამოქმედო გეგმის ძირითად პუნქტებს: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა (საჭიროების შემთხვევაში-ქვეაქტივობაც), შესრულების ინდიკატორი, განხორციელების ვადა თვეების ჭრილში, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, შემსრულებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, შესაბამისი რესურსები და აქტივობის შესრულების სტატუსი. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, აქტივობების შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს.

**რჩევა:** სასურველი, შესრულების ინდიკატორი იყოს გაზომვადი, რათა მოხდეს დაგეგმილი აქტივობების შედეგების პროგრესის შეფასება რაოდენორივ და თვისობრივ ჭრილში.

**ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 2025 წელის 3 თებერვლის ბრ. N 2-12-ით დამტკიცებული,,მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“
2. 2023-2030 სტატეგიული განვითარების გეგმა.
3. 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
4. SWOT ანალიზი
5. პედაგოგიური საბჭოს ოქმი-1; 05/09/2025
6. სამეურვეო საბჭოს ოქმი-3 20/09/2023
7. პედსაბჭოს სხდომის ოქმი -2; 21/09/2023)
8. სსიპ-სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის ბრ. N 2-22-ით დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
9. სამეურვეო საბჭოს ოქმი N3; 08/09/2025
10. სამუშაო ჯგუფის სხდომის N1 ; 01/09/2025
11. შესაბამისობის გეგმა

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის დირექტორის ბრ. N 2-12-ით დამტკიცებული, მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, განსაზღვრულია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის და შეფასების განხორციელების პერიოდულობა, სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წელიწადში ერთჯერ-ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. განმარტებულია მონიტორინგის და შეფასების პროცესების არსი და აღწერილია პროცესები, განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის/სტრატეგიული გეგმის ანგარიშის დოკუმენტირების ფორმა, ანგარიშის მომზადება ნარატიულად და გასაჯაროების მექანიზმები, სკოლის ვებ/გვერდზე გამოქვეყნებით და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

**ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2.**დასკვნის პროექტში აღწერილი იყო, რომ** სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც უზრუნველყოფს პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დანტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალიწინებას. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. რაც დაწესებულებისთვის ჯერ არ დამდგარა, ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხდება ყოველწლიურად. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული სხდომა. სხდომის თავმჯდომარე შესაბამისი პირების ჩართულობით, თითოეულ აქტივობას ანიჭება სტატუსი: ,,შესრულდა", ,,ნაწილობრივ შესრულდა" და ,,არ შესრულდა". შეხვედრას აოქმებს სხდომის მდივანი და უზრუნველყოფს ანგარიშების და მტკიცებულებების შეგროვებას. მონიტორინგის შემდეგ ხდება შეფასება, სამუშაო ჯგუფი ამზადებს ანგარიშის დირექტორთან წარსადგენად, რომელიც თავის მხრივ წარადგენს სამეურვეო საბჭოზე, განხილვის და მსჯელობის შემდეგ სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სამოქმედო გეგმის

ანგარიშსს. 2025 წლის 5 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს N 1 ოქმიდან ჩანს, რომ სხდომაზე მოხდა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების განხილვა, ასევე სკოლის ვებგვერდზე ატვირთულია მონიტორინგის შედეგები, თუმცა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად არ არის წარმოედგენილი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის წარდგენა სამეურვეო საბჭოზე, სადაც ასახული იქნება სამოქმედო გეგმის შეფასებითი ნაწილი, დასკვნები, რეკომენდაციები და დანტერესებული მხარეების უკუკავშირი, რომელსაც სკოლა გაითვალისწინებდა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის შემუავების დროს. **არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოედგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, სადაც იკითხება 2024-2025 სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების განხილვა ახალი 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის. ასევე, 2025 წლის 16 ივნისის სამეურვეო საბჭოს ოქმი N20, 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების განხილვის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიცია და აღნიშნულ მასალების საფუძველზე იცვლება ინდიკატორის შეფასება**

**ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

**3.** სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკმენტები განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გასაჯაროების მექანიზმებს. კერძოდ, ვებ/ გვერდზე გამოქვეყნებით. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმდო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობის მიზნით სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შედეგები. ასევე პედაგოგიური საბჭოს N 1 ოქმით დასტურდება მონიტორინგის შედეგების პედაგოგებისთვის გაცნობის ფაქტი. რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობის პროცესი ჯერ არ დამდგარა.

**რჩევა:** სასურველია სკოლამ, ვებ/გვერდზე, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შედეგებთან ერთად, გამოაქვეყნოს სამეურვეო საბჭოზე განხილული სამოქმედგო გეგმის ანგარიში.

**ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით, სკოლა უზრუნველყოფს გარემოს SWOT ანალიზის მომზადებას, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი SWOT ანალიზიდან ჩანს, რომ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს სკოლამ მოახდინა ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა, ასევე გაითვალიწინა შესაძლებლობები და შეაფასა რისკები, რის საფუძველზეც შემუშავდა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა. 2025 წლის 16 ივნისის სამეურვეო საბჭოს ოქმიდან და 2025 წლის 5 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს N 1 ოქმიდან ჩანს, რომ ის აქტივობები, რომლების შესრულება სკოლამ ვერ შეძლო 2024-2025 წელს, 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაითვალიწინებენ, რაც მიუთითებს დაგეგმილი აქტოვობის მნიშვნელობაზე და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 2025 წელის 3 თებერვლის ბრ. N 2-12-ით დამტკიცებული,,მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“
2. SWOT ანალიზი
3. სკოლის ვებგვერდი:სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლა
4. 2025-2026 წლის სამოქმდო გეგმა
5. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები
6. 2025 წლის 5 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს N 1 ოქმი
7. სამეურვეო საბჭოს ოქმი N20; 16/06/2025- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების განხილვა.
8. სამუშაო ჯგუფის სხდომის N1 ; 01/09/2025

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლამ წარმოადგინა ორგანოგრამა, რომელიც გრაფიკულად გამოსახავს დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობას-სტრუქტურას. სკოლის სტრუქტურა შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან, კოლეგიური ორგანოებისგან და თანამდებობრივი პოზიციებისაგან. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმართველობას, დისციპლინალურ კომიტეტს, პედსაბჭოს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭო, პროფესიულ მასწავლებლებს, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს. სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა დაზუსტებულია სკოლის საშტატო განრიგით. საშტატო განრიგით განსაზღვრული თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრულია ფუნქცია-მოვალეობები. სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი და 59 მასწავლებელი. ხოლო სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია: სკოლის ექიმი, ექთანი, სპაციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი-6, დარაჯი-2, დამლაგებელი-4.ცეცხლფარეში-1, მუშა-1, დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია შრომითი ხელშეკრულებებში და ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით ადასტურებენ მათი გაცნობს ფაქტს.
აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება, ითქვას, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

**ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2.გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურა გვიჩვენეებს სტრუქტურულ ერთეულების/პირების შორის ურთიერთდაქვემდებარებას, განსაზღვრულია ვინ ვის ექვემდებარება და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმები, სადაც გაწერილი კონკრეტული მიზნების, ამოცანების და აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრული პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები და მათზე დაკისრებული ფუნქციები პოზიციების შესაბამისია. დაკისრებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები, თუ რამდენად ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, შეიძლება დადგინდეს სტრუქტურული ერთეულების/პირების მუშაობის სისტემური შეფასებით. 2024 წელის 10 ივნისის ბრ. N2-57-ით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“ დეტალურად აღწერს პერსონალის

შეფასების საკითხებს, განსაზღვრავს შეფასების მეთოდებს და კრიტერიუმებს. სკოლაში ხდება როგორც მასწავლებლის საქმიანობიის, ასევე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შეფასებაც.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის სტრუქტურა, საშტატო განრიგი, შრომით ხელშეკრულებით განსაზღვრულუ ფუნქცია-მოვალეობები, პერსონალის მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სკოლის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას
**ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის გრაფიკული სტრუქტურა-ორგანოგრამა
- სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის №1 საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა
- სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წელის 15 ივნისის ბრ. N2-67-ით დამტკიცებული ,,პერსონალის მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“
- სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წელის 10 ივნისის ბრ. N2-57-ით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“
- დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს, პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს: პერსონალის მართვის პრინციპებს, პერსონალის შერჩევის პროცესის დაგეგმვას, თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების პროცედურებს, ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის საკითებს, პერსონალის შეფასების, წახალისების და განვითარების რეგულაციებს.
კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსის წესით. 2025 წლის სკოლას ვაკანტური ჰქონდა დაწყებითი, უცხოური ენის, სპეც ასისტენტის, ქართული ენა და ლიტერატურის, ფიზიკის, მათემატიკის, სპორტის, მე და საზოგადოების, მუსიკის, ხელოვნების მასწავლებლების პოზიციები. წარმოდგენილი მასალებით (ბრძანება ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ. საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებები, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები) დასტურდება, რომ პერსონალის მოზიდვის პროცესი განხორციელდა კანონმდებლობის შესაბამისად. მასწავლებელთა კარიერული განვითარება ხორციელდება მოქმედი კანონის შესაბამისად. მტკიცებულებად წარმოდგენილია წამყვანი მასწავლებლების სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენის წერილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სახელზე. სკოლის შინაგანაწესი და პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა ადგენს თანამშრომელთა წახალისების და დისციპლინური დევნის წესებსა და ნორმებს. წარმოდგენილია ბრძანებები ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემის და მადლობის გამოცხადების შესახებ. სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომით ხელშეკრულებები, რომელბიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის გათვალისწინებით. პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

**ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია**.

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. კერძოდ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია აანალიზებს თუ რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრი მომდევნო სასწავლო წლიდან და საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ აცხადებს კონკურსს იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლას ვაკანტური ადგილების შესავსებად მასწავლებლის დასაქმების ვებ/გვერზე https://teacherjobs.ge/ გამოცხადებული ჰქონდა- ფიზიკური აღზრდის და სპორტის, ფიზიკის , უცხოური ენის (ინგლისური), დაწყებითი განათლებისა და

მათემატიკის, მე და საზოგადოების, მუსიკის, ხელოვნების პედაგოგების ვაკანსიები. 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესიული განვითარებაზე ორიენტირებული პრევენციული აქტივობები: ,,თანამშრომელ პროფესიული საჭიროებების კვლევა“, წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების მოძიება, მათთვის ინფორმაციის მიწოდება შიდა სასკოლო ტრენინგების/ შეხვედრების ჩატარება“ . სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის ხშირად საჭირო ხდება მყისიერი, ინტერვენციული ზომების მიღება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სადაც გაწერილია სამსახურში არ გამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. აღნიშნული რეგულეციების მტკიცებულებად სკოლამ წარმოედგინა ჩანაცვლებული გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი. ასევე სკოლა საჭიროების შემთხვევაში ასაქმებს შემცვლელ მასწავლებლს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე

**ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის შერჩევის ეტაპებს. საჭიროების შემთხვევაში ქმნის სამუშაო აღწერილობას,შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. განსაზღვრავს შიდა და ღია კონკურსის ჩატარების პირობეს. ადგენს ვაკანსიასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს. კერძოდ, მასწავლების ვაკანსიისთვის https://teacherjobs.ge/. სხვა პესონალის ვაკანსია შეიძლება განთავსდეს დასაქმების სააგენტოს პორტალზე, სოციალურ ქსელში ან ბეჭდურ მედიაში. სკოლა გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო ვადების შესახებ. დირექტორის ბრძანებით ქმნის საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიებს. კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია ,,ზოგადი განათლების“ კანონისა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილია კომისიის სხდომის ოქმები და კონკურსის წესით შერჩეული პირის დანიშვნის აქტი-დირექტორის ბრძანება. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს და ასევე კანონმდებლობის შესაბამის ცნობებს: ,,ნასამართლეობის“, ,,უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. **დასკვნის პროექტში აღწერილი იყო, რომ** დაწესებულის 8 თანამშრომელის სრულყოფილად არა აქვს წარმოდგენილი კანონით გათვალიწინებული ცნობები. **აღნიშნულ საკითხთან მიმართებით სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრული პერიოდში (2026 წლის თებერვალი -2026 წლის ივნისი) სკოლამ უნდა უზრუნველყოს, ყველა დასაქმებულს ჰქონდეს კანონით გათვალისწინებული ცნობები. კერძოდ, ცნობები ,,უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, რამდენადაც სკოლა თვლის რომ შესაბამისობის უზურნველყოფის რისკი 0% და იცვლება ინდიკატორის შეფასება**

**ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

4. eSchool ბაზა მონაცემებით, სკოლაში დასაქმებულია 82 თანამშრომელი, მათ შორის 59 მასწავლებელია, აქედან 42 უფროსი, 11 წამყვანი, 1 მასწავლებლობის მაძიებელი, 4 სპეციალური მასწავლებლი და 1 მოწვეული მასწავლებლია. სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის დადგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებლი პირები აკმაყოფილებენ კანონმდებლობით და სკოლის მიერ განსაზღვრულ პოზიციის შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს. სკოლაში დასაქმებული ექიმი ვერ აკმაყოფილებს კანონით გათვალიწინებულ მოთხოვნებს, რამდენადაც არ ფლობს სახელმწიფო სერთიფიკატს, აღნიშნულის შესახებ სკოლამ წარმოდგინა შესაბამისობის გეგმა და ექიმის ვაკანსიის გამოცხადების მასლა. ხარვეზის გამოსწორებისთვის სკოლა განსაზღვრული აქვს პერიოდი 2026 წლის 20 მაისამდე. აღნიშულის გათვალიწინებით იცვლება ინდიკატორის შეფასება

**ინდიკატორი 3.1.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. მასწავლებლეთან გასაუბრებით დგინდება, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს, რასაც მოწმობს განხორციელებული პროექტები. გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასკოლო საზოგადოება პასუხისმგებლობით ეკიდება სკოლაში მიმდინარე პროცესებს, ინტერესდება სკოლის განვითარებით და უშუალოდ ჩართულია მასში. სკოლაში საზიარო სივრცეების არსებობა (სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, მომავლის ოთახი, კომპიუტერული კლასი) ხელს უწყობს თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის გარემოს შექმნას.

**ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების სახეები და გამოყენების წესი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ პერსონალის წახალისების სისტემა არის ადამიანური რესურსების მართვის უმთავრესი მექანიზმი. ის ხელს უწყობს სკოლაში კვალიფიციური და მოტივირებული პერსონალის მოზიდვას. წახალისების სისტემა პირდაპირაა დაკავშირებული ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობასთან. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მადლობის გამოცხადება, ერთჯერადი ფულადის პრემიის გადაცემა, საუკეთესო მასწავლებლის სიგელის გადაცემა.

**ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი

- 2024 წლის 10 ივნისის ბრ. N2-57 პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ
- 2024 წლის 15 ივნისის ბრ. N2-67 სკოლის პერსონალის მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები
- ღია კონკურსის მასალები: კონკურსის გამოცხადების ბრძანება, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები, საკონკურსო კომისიი შექმნის ბრძანება
- მადლობის სიგელი-საუკეთესო მასწავლევლს
- პერსონალის პირადი საქმეები
- განათლების მართვის სისტემის მონაცემთა ბაზა
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 19 ივნისის ბრძანება N1კ-29 -მადლობის გამოცხადება
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება N1კ-80 -ფულადი პრემიის გაცემა
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითრების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. კერძოდ, 2024 წლის 10 ივნისის N2-57 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“ დეტალურად აღწერს პერსონალის შეფასების საკითხებს, განსაზღვრავს შეფასების მეთოდებს და კრიტერიუმებს, შეფასებაში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობებს, შეფასების სამართლებრივ შედეგებს, შეფასების შედეგების გათვალიწინებით კვალიფიკაციის ასამაღლებლი და გადამზადების კურსების დაგეგმვას. სკოლას შემუშავებლი აქვს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები, წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტი და პერსონალის შეფასების მასალები. ინტერვიუთი და გაკვეთილზე დასწრების მასალების გაცნობით დგინდება, რომ სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის შეფასებას ახდენს ხარისხის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს საგკვეთილო პროცესზე დასწრებას, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების მიმართულებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. სკოლის 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია წლის განმავლობაში შესასრულებელი, პროფესიული განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები. კერძოდ, თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, წარმატებული პრაქტიკის /ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო ტრენინგების/ შეხვედრების ჩატარება, თანამშრომელ თა განვითარების თვის საჭირო ტრენინგების, სემინარების მოძიება, მათთვის ინფორმაციის მიწოდება.

**ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებული**

**2.**2025-2026 წლების სამოქმედო გეგმით სკოლას გათვალიწინებული აქვს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევის განხორციელება. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებიდან ჩანს, რომ ადამინური რესურსების განვითრების მიმართულებით დაგეგმილი იყო და შესრულდა-,,თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა და ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციეების ხელშეწყობა“. აღნიშნულის მტკიცებულებად წარმოდგენილია მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების მასალები, საიდაც ჩანს, რომ სამუშაო შეხვედრაზე მოხდა ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის ტრეინენგში მიღებული გამოცდილების გაზიარება, ეფექტური სასწავლო პრაქტიკის გაცნობა და მათი სასწავლო პროცესში დანერგვა, ასევე წარმოდგენილია სამუშაო შეხვედრის მასალები kahoot.it-ში სასწავლო რესურსების შექმნის შესახებ.

დასაქმებულთა პირადი საქმეში განთავსებულია პროფესიული განვითრების მიმართულების სხვადასხვა ტრეინინგების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები, როგორც მასწავლებლების ასევე ადმინისტრაციული პესონალის მიერ. კერძოდ, სკოლის ბუღალტერმა და სკოლის დირეტორმა გაიარეს ტრეინინგი სახაზინო ანგარიშსწორების რეგულაციების მიმართულებით.

**ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა". სკოლაში  დამკვიდრებული პრაქტიკა გამოცდილების გაზიარება, სამუშაო შეხვედრები გამოცდილების გაზიარების მიზნით ეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. სკოლაში დასაქმებულია წამყვანი და უფროსი მასწავლებლები, რომლებმაც სტატუსი აღნიშნულ სკოლაში მუშაობის დროს აიმაღლეს. მტკიცებულებად  წარმოედგინილია ინგლისური ენის, ხელოვნების და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის წამყვანის სტატუსზე წარდგენილ წერილები. კარიერული წინსვლის კარგი მაგალითია ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის განხორციელებაში სკოლის მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების დასაქმება.

**ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4.ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის მექანიზმები გაწერილია პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში. ინტეგრაციის მექანიზმები გამოიყენება, როგორც ახალ თანამშრომელთან ასევე თანამშრომლის დაწინაურების დროს. პოლიტიკის დოკუმენტი ასევე განსაზღვას თანამშრომლის სოციალიზაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მეთოდს გამოკითხვის საშუალებით. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვენლოვანია მისი თითოეული წევრი სკოლის სრულფასოვან წევრად გრძნობდეს თავს, შესაბამისად ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციაზე სასკოლო საზოგადოებაში. ამისთვის სკოლაში შექმნილია სასიამოვნო სამუშაო გარემო, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლობაზე. სკოლამ წრმოადგინა ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის კითხვარი და განხორციელებული გამაოკითხვის მასალები. კვლევის ანალიზი სკოლას ეხმარე დაადგინოს როგორ მოხდა ახალი თანამშრომლის პროფესიული ადაპტაცია, სოციალური ინტეგრაცია, როგორი იყო ადამინისტარაციის მხარდაჭერა და მენტორინგი. რა დაეხმარა და რა სირთულეს გადააწყდა ადაპტაციის პერიოდში. ასევე ადაპტაციის პროცესის გაუჯობისათვის მიზნით მნიშვნელოვანია ახალი თანამშრომლის რეკომენდაცია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც სკოლას შემუშავებული და დაანერგილი აქვს ინტეგრაციის მექანიზმები

**ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ საინტერესო და მოსწავლეზე ორიენტირებული პროექტების დაგეგმვა/განხორციელებისთვის ხშირად მიმართავენ დირექტორს და მისგან ყოველთვის მხარდაჭერილია მსგავსი ინიციატივები. რისი მტკიცებულებაცაა სკოლის მიერ

განხორციელებული პროექტები, რომლებიც განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერზე. ინიციატივების განსახორციელებლად საჭირო რესურსების შესყიდვა ხდება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი განცხადების საფუძველზე

**ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2024 წლის 10 ივნისის ბრ. N2-57 პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ
- ურთიერთდასწრების მასალები
- თანამშრომელთა სამუშაო შეხვედრის მასალები; ანგარიში, ოქმი, გეგმა
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
- პერსონალის პირდი საქმეების
- წამყავნი მასწავლებლის წარდგენის წერილები
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი განცხადებები, რესურსების შეძენაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრ.N2-69-ით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები". პოლიტიკის დოკუმენტით კლასიფიცირებლია დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ძირითად და დამხმარე პროცესებად. თითოეული პროცესის აღწერა მიგვანიშნებს, რომ პროცესი ციკულურია და ითვალიწინებს დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე პრინციპებს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია პროფესიული პროგრამის დამატების დროს. სკოლამ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოაგინა კიდევ ერთი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც 2023 წლის 18 სექტემბრის 2-92 ბრძანებითაა დამტკიცებული. აღნიშნული დოკუმენტით სკოლაში მიმდინარე პროცესები იდენტიფიცირებულია ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესებად, განსაზღვრულია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი-დირექტორი, შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის წესს.

სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები (პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია), რომელებიც აღწერს შესაბამის პროცესებს და ქვეპროცესებს. ითვალისწინებს პროცესების განხორციელებას ეტაპების მონაცვლეობით, რაც დამადასტურებელია იმისა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა უნდა განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე, პრინციპის დაცვით.

სკოლაში ხდება სტრატეგიული და წლიური დაგეგმვა, წამოდგენილია შესაბამისი გეგმებიც. დაგეგმილის შესაბამისად განხორციელებული პროცესების შეფასება ხდება მეთოდოლოგიით განსაზღვრულ დროს. შეფასების შედეგების გათვალიწინებით იქმნება ახალი სტრატეგიული/სამოქმდო გეგმები. წინა წლის შედეგების ანალიზზე დგება ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისად ხორციელდება სასწავლო პროცესი, ხოლო წლის ბოლოს პედსაბჭოზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასება და შემდგომი გაუმჯობესების გზების განსაზღვრა. სამეურვეო საბჭოზე ხდება ფინანსური ანგარიშის წარდგენა, ახალი

ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება. ადამინური რესურსების განვითარება ხორციელდება ხარისხის ციკლის შესაბამისად. სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია განსაზღვრავს სად ჭირდება ახალი კადრი და იღებს შესაბამის ღონისძიებებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. თუმცა სასურველია ხარისხის პოლიტიკის შესაბამისად მოხდეს პროცესების რისკების შეფასება და ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

**ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. 2023 წლის 18 სექტემბრის 2-92 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი" გვაწვდის ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების შესახებ. პროცესები აღწერილია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში. კერძოდ, სკოლის მართველობითი პროცესები- სტრატეგიული და წლიური დაგეგმვა აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, ხარისხის უზრუნველყოფა-ხარისხი უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით. ძირითადი პროცესი-სასკოლო სასწავლო გეგმაში და შინაგანაწესში. ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: პერსონალის მართვა და განვითარების პოლიტიკით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების წესით და სხვა.

**ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. დირექტორის ბრ.N2-13; 03.02.2025-ით დამტკიცებულია განცხადებების და საჩივრების განხივის წესის. სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის დისციპლინური გადაცდომის საკითხებს. მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოიცავს გასაჩივრების მუხლს, დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეუო საბჭოში. ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების" წესის თანახმად, მასწავლებელს შეუძლია კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ წერილობითი ფორმით საჩივრები სკოლაში არ ფიქსირდება. თუმცა არსებობს მშობლების განცხადებით მიმართვიანობა მეორე უცხოური ენის არჩევაზე და გახანგრძლიველი წრით სარგებლობაზე.

**ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, პერსონალითან და მშობლთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. შინაგანაწესი არეგულირებს სკოლის თანამშრომლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების წესს, მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საქმისწარმოებას და სხვა კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს. ასევე

გაწერილია წახალისების ფორმები. დაწესებულებაში მოქმედებს საჩივრების განხილვის სისტემა. სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლებისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობას, რასაც ითვალისწინებს სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა მარებულირებელი დოკუმენტები და დადასტურდა მშობლებთან ინტერვიუს დროს. მშობლებმა ასევე ისაუბრეს მათ უფლებაზე აირჩიონ მეორე უცხოური ენა.

**ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- 2025 წლის 3 თებერვლის ბრ. N2-13 განცხადებების და საჩივრების განხივის წესის დამტკიცების შესახებ
- სადამრიგებლო პროგრამა
- მეორე უცხოური ენის არჩევაზე მშობლების განცხადება
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი-1;17/10/2025
- მშობელთა კრების ოქმი-1; 19/09/2025
- 2023 წლის 18 სექტემბრის ბრ.2-92 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. კერძოდ, სკოლის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: სტრუქტურა, მისია, ხედვა ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მითითებულია სკოლის მისამართი, ელ. ფოსტა, მოსწავლეთა და

მასწავლებელთა რაოდენობა, სწავლების ენა და საგანმანათლებლო სტატუსი. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება სოციალური ქსელი, რომლის საშუალებით გაზიარებულია სკოლაში მიმდინარე სიახლეები. ფეისბუქგვერდის საშუალებით შესაძლებელია დაინტერესებულმა პირმა წერილი მიწეროს სკოლას და მიიღოს პასუხი. განსაზღვრულია პასუხსიმგებელი პირი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს კმაყოფილების კვლევის კითხვარებს. სკოლას ვებგვერდის ადმინისტრირებაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გაირკვე, რომ სკოლა ითვალიწინებს მათ აზრს, დასახელდა კონკრეტული საკითხები, რომლებიც სასკოლო საზოგადოების სურვილების და ინტერესების გათვალიწინებით გახდა სკოლითვის აქტუალური. კერძოდ, კლუბებისა და წრეების ფუნქციონირება, კვების ბლოკის არსებობა, შიდა სივრცეების მოწყობა და სხვა.

**ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის სტრუქტურის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში. წარმოდგენილია კოლეგიალური ორგანოების სხდომის ოქმები. კერძოდ, სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული და სამოქმედო შეთანხმებაზე, 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცებაზე. მრჩეველთა საბჭოს ოქმი -სკოლის უსაფრთხო გარემოს შეფასებაზე, პედ. საბჭოს ოქმი სასკოლო გეგმის დამტკიცებაზე.

**ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრუქტურა
- სკოლის ვებ- გვერდი სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლა
- სკოლის სოცილაური ქსელი: https://www.facebook.com/bolnisispirveliskola
- 2025 წლის 8 დეკემბრის ბრ. N1კ-76 სსიპ-სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისისN1 საჯარო სკოლის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრის შესახებ
- სკოლის დირეტორის ბრ. 2-186; 06/12/2023 სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხიმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- კმაყოფილების კვლევის კითხვარები და ანალიზები
- სამეურვეო საბჭოს, პედ. საბჭოს და მრჩეველთა საბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2023წლის 19 სექტემბრის ბრ.N2-104-ით დამტკიცებული აქვს ,,ადამიანის და პროცესების უსაფრთხოების დებულება“, რომელიც მოიცავს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებს. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ მდგრადობის დასკვნა, რომელიც გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს, ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2024 წლის 12 სექტემბერს. დასკვნის თანახმად, სსპი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ვარგისია ექსპლუატაციისთვით. ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლოატაციისთვის სკოლას განესაზღვრა გარკვეული სამუშაოების განხორციელება. **ვიზიტის დროს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ იყო შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან. თუმცა, გაგაზავნილი იყო წერილი (MES 6 26 0000114043; 04/02/2026 ) შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე. არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხების წერილი (MIA 9 26 00527525; 16/02/2026)**

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში ჰყავს მანდატურის სამსახური, მრჩეველთა საბჭო, დასაქმებულია 2 დარაჯი, შემოღობილია სკოლის პერიმეტრი.

**სასურველია,** სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

**დასკვნის პროექტით,** სკოლას აქვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, თუმცა როგორც 2026 წლის 29 იანვრის სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის N29 აქტით ირკვევა, შენობის სახანძრო უსაფრთხოება არ შეესაბამება დადგენი ნორმებს. აღნიშნული დასკვნა სკოლამ მიიღო 2026 წლის 2 თებერვალს. **არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი მასალებით (სსიპ-სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის ბრ. N 1კ-10---სკოლაში სახანძრო უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკრი საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ და 2026წლის 6 თებერვლის ხელშეკრულება N12 (გამარტივებული შესყიდვის შესახებ)-ცეცხლმაქრების შესყიდავა) დასტურდება, რომ**

**დაწყებულია სახანძრო უსაფრთხოების დასკვნით გაცემულ რეკომენდაციებზე მუშაობა. შესაბამისობით გეგმით, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებასთან სრულ შესაბამისობას სკოლა უზრუნველყოფს 2028 წლის 3 თებერვლამდე.**

**ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმნეტირებულ პოზიციას და შესაბამისობის გეგმის გათვალიწინებით იცვლება ინდიკატორი შეფასება**

**ინდიკატორი 3.4.1.1 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

2.პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს პირველდი დახმარების აღმოჩენის წესი. სადაც გაწერილია სამედიცინო კაბინეტის მოწყობის წესი, სკოლის სამედიცინო პერსონალი, მათი კომპეტენციები, პაციენტის უფლებები და აღჭურვილობის უსაფრთხოება. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. თუმცა სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შირმა. სკოლას ჰყავს ექიმი და ექთანი. სკოლის ექიმს აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ზოგადი პროფილისს ექიმის დიპლომი), თუმცა არ ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“, „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. სკოლის ექიმი აწარმოდებს კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას. **აღნიშნულის შესახებ სკოლამ წარმოდგინა შესაბამისობის გეგმა და ექიმის ვაკანსიის გამოცხადების ლინკი. ხარვეზის გამოსწორებისთვის სკოლა განსაზღვრული აქვს პერიოდი 2026 წლის 20 მაისამდე. ასევე წარმოადგინა ფოტომასლა, რაც ადასტურებს სამედიცინო კაბინეტში შირმის არსებობას, აღნიშულის გათვალიწინებით იცვლება ინდიკატორის შეფასება**

**ინდიკატორი 3.4.1.2 მეტწილად დაკმყოფილებულია**

**3.** სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2023წლის 19 სექტემბრის ბრ.N2-104-ით დამტკიცებული აქვს ,,ადამიანის და პროცესების უსაფრთხოების დებულება“, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს, მათ შორის ინფორმაციის უზრუნველყოფის საკითხებს. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ჰყავს მანდატურის სამსახური. დასაქმებული 2 დარაჯი უზრუნველყოფს პირთა გადაადგილების კონტროლს სკოლის მთელ ტერიტორიაზე, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არის უსაფრთხო გარემო, რაც მანდატურის სამსახურის და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების შედეგია.

**ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლის მანდატურები უზრუნველყოფენ მოსწავლის ფსიქოლოგიურ მომსახურებას შესაბამის სამსახურთან გადამისამართებით. სკოლაში საზიარო სივრცეების არსებობა მოსწავლეებს ეხმარება სოციალიზაციის პროცესში. არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს სკოლაში ფსიქო-

ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული 4 სპეც. მასწავლებელი და 6 სპეციალური ასისტენტი, რომლებიც უზრუნველყოფს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

**ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. ადამიანის და პროცესების უსაფრთხოების დებულებაში გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, დარეგულირებულია ყოველდღიური, ყოველკვირეული და ყოველთვიური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებლი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სკოლაში არის სველი წერტილები, ბიჭების, გოგონებისთვის შშმ პირისთვის და მასწავლებლეისთვის.

სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი, ცხელი წყალი. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას მონიტორინგს ახდენს სკოლის ექიმი, წარმოდგენილია სანიტარული კვანძების მონიტორინგის მასალები. მატერიალურ-ტექნიკურიუზრუველყოფის კოორდინატორი უზრუნველყოფს სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაციას გამოსაყენებელი ხსნარებზე, ნარჩენების მართვაზე და სხვა სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებულ რეგულაციებზე და უზრუნველყოს მათი მომარაება საჭირო ინვენტარით.

**ინდიკატორი 3.4.1.5.დაკმაყოფილებულია**

6.პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით შემუშავებულია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი-,,პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი". დოკუმენტი მოიცავს: მონაცემთა დაცვის პრინციპებს, მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა პირდაპირი ვიდეოთვალთვალის და აუდიომონიტორინგის განხორციელებისას. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე. სკოლას აქვს თანხმობა დასაქმებულებიდან და მშობლებიდან/კანონიერი წარმომადგენლებიდან მათი/მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელების შესახებ, მათ შორის ფოტო და ვიდეოგადარებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე სკოლა არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

**რჩევა:** სასუველია სკოლას ჰყავდეს პერსონალირ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის მონაცემები რეგისტრირებული იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ გვერდზე

**ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, სადაც გაწერილია ინფორმაციის დაცვის პრინციპები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, ინფორმაციის დაცვა, ელექტრონული ფოსტისა, ტელეფონის ნომრის გამოყენება და ინფორმაციის დაცვის მონიტორინგი. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, პროგრამაში (განათლების მართვის სისტემის მიერ ლიცენზირებული) არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე. **ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშია მანდატურის სამსახურის წარმომადგენელიც. სკოლის მანდატურის სამსახური უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას. მრჩეველთა საბჭოზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს ოქმიდან ჩანს, რომ უსაფრთხოების მექანიზმების შეფასების შედეგად გაცემულია რეკომენდაციები. ძირითადი რეკომენდაციები ეხება სკოლის ტერიტორიის საგაკვეთილო პროცესის დატოვების კონტროლის გამკაცრებას და დილით გაკვეთილზე დაგვიანებას.

**ინდიკატორი 3.4.1.8 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023 წლის 19 სექტემბრის ბრ.N2-104 ადამიანის და პროცესების უსაფრთხოების დებულების დამტკიცების შესახებ
- შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე გაგზავნილი წერილიMES 6 26 0000114043; 04/02/2026 საგანგებო მართვის გეგმის შესათანხმებლად
- მდგრადობის დასკვნა-N002622024-12.09.2024
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის N19 აქტი-29/01/2026
- სკოლის შინაგანაწესი
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი-1 (25/10/2025)
- მრცეველთა საბჭოს ოქმი-2 (10/12/2025)
- სკოლის დირექტორის ბრძანება N2-100; 19/09/2023 -პერსონალური მონაცემთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის ფორმა

- სანიტარული კვანძების მონიტორინგის ჟურნალი
- ექიმის პირადი საქმე
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხების წერილი MIA 9 26 00527525; 16/02/2026
- სსიპ-სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის ბრ. N 1კ-10---სკოლაში სახანძრო უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- 2026წლის 6 თებერვლის ხელშეკრულება N12 (გამარტივებული შესყიდვის შესახებ)-ცეცხლმაქრები
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ქ. ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის ქ. 121. სკოლის დაზუსტებული ფართია 8686 კვ.მ.; განაშენიანების ფართი - 2122 კვ. მ. შენობა ორსართულიანია, აქვს შიდა და გარე ეზო, სპორტული დარბაზი და სტადიონი. სკოლაში სულ 25 საკლასო ოთახია, მათ შორის კომპიუტერული მეცნიერების კაბინეტ-ლაბორატორია, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების, მუსიკის კაბინეტები. გარდა ამისა, თითოეულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებისთვის განკუთვნილია კაბინეტ-ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილი შესაბამისი რესურსები და ციფრული ტექნოლოგიებით. სკოლას აქვს მომავლის ოთახი, სადაც არის სმარტ-დაფა, რესურს ოთახი, სააქტო დარბაზი კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და ღონისძიებებისათვის, რომელიც აღჭურვილის ტექნიკური მოწყობილობებით (ელექტრონული ფორტეპიანო, პროექტორი, ხმის გამაძლიერებლები და მიკროფონები). ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სამსაწავლებლო, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ოთახები, სამედიცინო კაბინეტი. ორივე სართულზე არის სველი წერტილები, ბიჭების, გოგნების და შშმ პირისთვის, ხოლო მეორე სართულზე ასევე პერსონალისთვის. სველი წერტილები ასევ აქვს სამსაწავლებლოსაც. კვების ბლოკისთვის იჯარით გაცემულია ფართი პირველ სართულზე. სკოლას აგრეთვე იჯარით გაცემული აქვს ფართები ტანვარჯიშის და ცეკვის წრეებისთვის. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის კომპიუტერული კაბინეტ-ლაბორატორია აღჭურვილი შესაბამისი რესურსით.

სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და სასწავლო დაფით. სკოლის ბალანსზეა-1221 მოსწავლის ასაკის შესაბამისი მერხი და სკამი. დაფა-74, კომპიუტერული ტექნიკა-88, პროექტორი-14, პრინტერი-14, მასწავლებლის ბუქი-4. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ფუნქციონირებს ლიფტი.სახელმწიფოსგან ქონება გადაცემულია არსებობის ვადით, რაც იძლევა გარანტიას სკოლა, ავტორიზაციის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალურ რესურსით.

**ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების სრულფასოვანი ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. სკოლას აქვთ საერთო სარგებლობის სივრცეები: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, მომავლის ოთახი, სააქტო დარბაზი, სკოლის ეზო, ღია

სპორტული მოედანი, სამასწავლებლო და სამედიცინო კაბინეტი. სკოლის მეორე სართულის ფოიეში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით მწყობილია საგანმანათლებლო და გასართობი სივრცეები, კერძოდ, მაგიდის ფეხბურთი და ტენისის მაგიდა, ასევე, რბილი ავეჯი და პუფები, სადაც მოსწავლეები შეძლებენ დაისვენონ, იმუშაონ პროექტებზე, ჯგუფურ სამუშაოებზე, კლუბის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებზე. ინტერვიუთი გაირკვა, რომ სივრცე გალამაზდა მოსწავლეების მიერ მოვლილი მცენარეებით და თვითონვე მოხატეს კედლები.

სკოლას შემუშავებული აქვს საბუნებისმეტყველო საგნების და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წესის დებულება, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის. საბუნებიმეტყველო ლაბორატორიაში და ბიბლიოთეკაში გამოკრულია შესაბამისი სივრცეებით სარგებლობის წესები, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში არსებული საზიარო სივრცეებით მატეიალური რესურსით შეუფერხებლად გამოყენებას სასწავლო პროცესში.

**ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას, რისთვისაც სკოლაში ფუნქციონირებს შესაბამისი მატერიალური და ციფრული რესურსებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა დაყოფილია ზონებად, მოწყობილი სამკითხველო და ციფრული რესურსებთან სამუშაო სივრცეები. ბიბლიოთეკაში აღრიცხულია 6000-ზე მეტი წიგნი, რომელბიც თემატურად განთავსებულია წიგნის თაროებზე. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული წიგნების შემოწმებით დგინდება, რომ ისინი დამუშავებულია საბიბიოთეკო წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. რამდენიმე ახლადშეძენილი წიგნი იყო დამუშავების პროცესში. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში და დამრიგებლებს ეხმარება ღონისძიებების გახორციელებასში. ბიბლიოთეკარისთვის გათვალიწინებულია 1 კომპიუტერი, ხოლოს სამუშაო სივრცეში განთავსებულია 3 ლეპტოპი. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

**ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია**

4.სკოლას აქვს ლიფტი, ადაპტირებულია შენობაში შესასვლელი სივრცე, ორივე სართუზე არის შშმ პირისთვის განკუთვნილი სველი წერტილი, ასევე ადაპტირებულია შენობის შიდა სივრცის ის ნაწილი, სადაც კიბის საშულებითაა შესაძლებელი შენობის ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლა. სკოლას აქვს რესურსოთაახი, ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი 4 სპეც პედაგოგი და 6 ასისტენტები.

**დასკვნის პროექტის თანახმად,** სკოლაში მხოლოდ სპორტულ დარბაზში მისასვლელი სივრცე არ არის ადაპტირებული, რამდენდაც საჭიროა რამდენიმე საფეხურის დაძლევა და შშმ პირისთვის შეუძლებელია. შესაბამისად სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფს სწავლის ინკლუზიურ გარემოს შექმნას. **აღნიშნულთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და 2026 წლის 19 თებერვლის სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულება N10 - ლითონის კონსტრუქციის პანდუსის დამონტაჟებაზე. შესაბამისობის**

**გეგმით გათვალიწინებულია, რომ 2026 წლის 3 სექტემბრამდე სკოლა უზრუნველყოფს შიდა სივრცის სრულ ადაპტირებას. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისად შეიცვალა ინდიკატორის შეფასება**

**ინდიკატორი 3.5.1.4 მეტწილად დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების საშუალებას. კერძოდ, სკოლას აქვს შიდა და გარე ეზო, სპორტული დარბაზი და სტადიონი, სადაც შესაძლებელი მრავალფეროვანი სპორტული თუ შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება. კომპიუტერული მეცნიერების კაბინეტ-ლაბორატორია, მომავლის ოთახი, სააქტო დარბაზი კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და ღონისძიებებისათვის, რომელიც აღჭურვილის ტექნიკური მოწყობილობებით (ელექტრონული ფორტეპიანო, პროექტორი, ხმის გამაძლიერებლები და მიკროფონები). ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სამკითხველო და სამუშაო სივრცეებით. სკოლის მეორე სართულის ფოიეში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით მწყობილია საგანმანათლებლო და გასართობი სივრცეები, სადაც მოსწავლეები შეძლებენ დაისვენონ, იმუშაონ პროექტებზე, ჯგუფურ სამუშაოებზე, კლუბის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებზე. მასწავლებლების საზიარო სიცრცე, სამასწავლებლო, წარმოდეგენს ინდივიდუალური, გუნდური და თანამშრომლობით საქმიანობის გარემოს და ასევე იძლევა პირადი სივრცის დაცულობის საშუალებას ( სამსწავლებლოში ყველა პედაგოგისთვის გაკუთვნილია კარადები პირადი ნივთების შესანახად).

**ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან
- შენობის აზომვითი ნახაზი
- ბრ. N 2-103 ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის“ დამტკიცების შესახებ.
- ბრ. N 2-105 ,,საბუნებისმეტყველო საგნების და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ.
- ინვენტარიზაციის მასალები
- ბუფეტის იჯარის ხელშეკრულება
- ტანვარჯიში წრის იჯარის ხელშეკრულება
- ცეკვის წრის იჯარის ხელშეკრულება
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები

- 2026წლის 19 თებერვლის  სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულება N10 - ლითონის კონსტრუქციის პანდუსის დამონტაჟებაზე
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლაში არის კომპიუტერული კაბინეტი, სადაც განთავსებულია 30 ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი. შემუშავებულია IT კაბინეტის გამოყენების წესი.  კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკაზე პასუიემგებელი პირია-ისტ-ის მასწავლებლი. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია სამსწავლებლო, სკოლის ბიბლიოთეკა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის,  უცხო

ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კაბინეტები. კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილია სკოლის ადმინისტრაციაც. მშობელეთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. სკოლაში ხორციელდება ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა - კომპიუტერული ქსელები და სისტემები. პროგრამის ფარგლებში მოწყობილი საკლასო სივრცე აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით: პერსონალური კომპიუტერები, უსადენო ინტერნეტის მოწყობილობები, ჭკვიანი დაფა და სხვა საჭირო რესურსები.

სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა 88 კომპიუტერი, 11- პროექტორი, 14-პრინტერი. ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა და პედაგოგებმა ისაუბრეს კომპიუტერული ტექნიკის ხელმისაწვდომობაზე. პედაგოგებს შესაძლებლობა აქვს ისარგებლონ სკოლის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. თვითმართველობის  და სკოლაში არსებული კლუბების წევრებისთვის ხელმისაწვდომია სკოლის ტექნოლოგიები მომავლის ოთახში, IT კაბინეტში და  სკოლის ბიბლიოთეკაში.

**ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცეები: მომავლის ოთახი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კაბინეტი და სამასწავლებლო. სკოლას შემუშავებული აქვს  IT კაბინეტის გამოყენების წესი, რომელიც არეგულირებს ინტერნეტის მიზნობრივად გამოყენებისწესებს. კერძოდ, განსაზღვრავს  მომხმარებელის უფლებებს, შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები, ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე. შესაძლებელია ელ. ფოსტით და ვებ/გვერდით სარგებლობა. აღნიშნული წესი  ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს ინტერნეტით სარგებლობაზე. კერძოდ, დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის, დაუშვებელი კომპიუტერის გაუმართავად მუშაობისას, ხარვეზის თვითნებურად გასწორება. ინტერვიუთი დადგინდა, რომ მოსწავლეები იცნობენ IT კაბინეტის და ინტერნეტის მიზნობრივად გამოყენების წესებს.

**ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023 წლის 19 სექტემბრის ბრ. N2-105-ით დამტკიცებული ,,საბუნებისმეტყველო საგნების და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიების გამოყენების წესი.
- ინვენტარიზაციის მასალები
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული („eflow") და მატერიალური ფორმით. საქმისწარმოების წესის შესაბამისად, სკოლა აწარმოებს: საერთო ბრძანებების, საკადრო ბრძანებების და შრომითი ხელშეკრულებეის სარეგისტრაციო ჟურნალებს. სკოლაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებელთან ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. პერსონალის და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება დაკეტილ კარადებში.

**ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია**

**2.**სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა („eflow") საშუალებით. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებულის, მოსწავლეების, სსსმ მოსწავლის, მოსწავლის მშობლების პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

**ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოებს eSchool.emis.ge ბაზას. კერძოდ, მოსწავლეთა მობილობას, სტატუსის შეჩერებას, ჩარიცხვა-ამორიცხვას. ასახულია მოსწავლეთა, მათ შორის სსსმ/შშმ და დასაქმებულ პირთა შესახებ ინფორმაცია. სკოლის საინფორმაციო

ბარათში შეყვანილია: სკოლის მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

**ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებული**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, რაც დასტურდება მტკიცებულებებით. კერძოდ, სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად  რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციებს საგანმანათლებლოს საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს: საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და თანამშრომლობს მათთან, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს და შესაბამის უწყებებს.

**ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის  N2-96 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესი
- 2025 წლის 8 დეკემბრის ბრ. N1კ-76  სსიპ-სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე
- საქმისწაროების სარეგისტრაციის ჟურნალები
- eSchool.emis.ge ბაზა
- მარეგულირებელ უწყებებეთან უკუკავშირის მასალები.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. https://skolebi.emis.ge/-ზე გახსნილია სსიპ-სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლის ვებ გვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, საკომუნიკაციოდ მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია: სკოლის ელ.ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მისამართი. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ: საგანმანათლებლო სტატუსი, ავტორიზაციის ვადები, სექტორი, მასწავლებლებისა და მოსწავლეების რაოდენობა, შენობების რაოდენობა და დირექტორის სახელი და გვარი. სოციალური ქსელშიც სკოლას აქვს თავისი Facebook გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლაში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ საკომუნიკაციოდ აქტიურად გამოიყენებენ კლასის მესინჯერ ჯგუფებს. მშობლების განმარტებით, დამრიგებელი წარმოედგენს სკოლასა და მშოელს შორის მნიშვნელოვან საკომუნიკაციო ხიდს. მოსწავლის აკადემიური მოსწრების ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს ელ. ჟურნალს. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, რომელიც ადგენს საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმას და პრინციპებს.

**ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კერძოდ, სკოლის ვებ/გვერდი გვაწვდის ინფორმაციას, ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ, სკოლის ვებ/გვერდზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. Facebook გვერდზე სკოლა ათავსებს სანდო და უტყუარ ინფორმაციებსა და ფოტომასალებს

სკოლაში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ მშობლებიდან მიღებული შესაბამისი ნებართვების საფუძველზე. სკოლის ვებგვერდის მართვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის  და კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს სკოლის ვებგვერდსა და სოცისლური ქსელის გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნების რეგულაციებს. კერძოდ, საჭირო ინფორმაცია ადმინისტრატორს მიეწოდება ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირისგან და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისის დადაასტურება.

**ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან ურთიერთობის  და კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს უკუკავშირის შედეგების და ანალიზის საკითხებს. კერძოდ, საკომუნიკაციო არხებიდან მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის მიზნით სკოლა იყენებს გამოკითხვის მეთოდს. წარმოდგენილია მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები და ანალიზი. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ სკოლა ითავლიწინებს მათ აზრს.  კერძოდ, მშობელთა სურვილი იყო სკოლაში საგნობრივი წრეების არსებობა, რაც სკოლამ გაითვალიწინა. სკოლაში არის ქართულის ენისა და ლიტერატურის და ინგლისური ენის წრეები. აღნიშნული წრეები ემსახურება ენის კომპეტენციების გაუმჯობესებას. სასკოლო საზოგადოების სურვილი იყო არაფორმალური მიმართულებით სკოლის გაძლიერების. რაც გაითვალისწინა სკოლამ  მრავალფეროვანი ღონისძიებების განხორციელებით და კლუბური მუშაობის არსებობით. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ  მათი სურვილის გათვალიწინებით სკოლის ფოიეში მოეწყო საგანმანათლებლო და გასართობი სივრცეები.

**ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. skolebi.emis.ge -ზე გასხნილია სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლის  ვებგვერდი-[სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლა](), რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

**ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია**

5. **დასკვნის პროექტში აღწერილი იყო, რომ** სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge შესაბამისი გვერდი, სადაც განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები, შინაგანაწესი, პროფესიულ სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, განცხადებები და საჩივრების განხილვის წესი, სკოლის  ბიუჯეტი, საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტოები. ვებ/გვერზე არის ინფორმაციას სკოლის პროგრამ(ებ)ის  შესახებ,  თუმცა ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) შესახებ ინფორმაცია არ გვხვდება, ასევე სკოლის ვებ/გვერდზე არ არის გამოქვეყნებული ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.  სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედგეგბის განთავსების ვალდებულება.

**არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში გადამოწდა სკოლის ვებგვერდი, სადაც ატვირთულია დირექტორის 10 დეკემბრის ფინანსური ანგარიში და სკოლის პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) შესახებ ინფორმაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე**
**ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებ/გვერდი **სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლა**
- ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/bolnisispirveliskola
- სკოლის დირეტორის ბრ. 2-102 ; 19/09/2023 საზოგადოებასთან ურთიერთობის  და კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ
- კმაყოფილების კვლევის კითხვარები და ანალიზი
- სკოლის დირეტორის ბრ. 2-186; 06/12/2023 სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხიმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- თვითმართველობის სხდომის ოქმი-3; 15/10/2025

შეფასება:
- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში.

სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმით გათვალიწინებული აქტივობების განხორციელბას. კერძოდ, არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში კლუბებისა და წრეების დაფინანსებას. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით დამატებით ეკონომიკური შემოსავლების მოძიებას. ასევე გათვალიწინებულია თანამშრომელთა წახალისების ხარჯები პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის, საოფისე ინვენტარის და საკანცელარიო რესურსების შეძენის ხარჯები საგანმანათლებლო/ სასწავლო რესურსების განახლება/შევსების მიზნით.

**ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია**

2.ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა განსაზღვრულია საჯარო სკოლის წესდებით. სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით. სკოლა ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება. სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, სახელწიფო კონტროლი გულისხმობს სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. რეკომენდაციების და შენიშვნების გათვალიწინებით ხდება ბიუჯეტის კორექტირება, რომელსაც შემდგომ ამტკიცებს სამეურვეო საბჭო, და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა. სკოლამ წარმოდგინა 2026 წლის სკოლის ბიუჯეტი, სადაც ჩანს რომ ბალანსი დადებითია და სკოლა ფინანსურად მდგრადია.

**ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საჯარო სკოლის წესდება
- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი-7; 10/12/2025
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
- სკოლის დირექტორის ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიში

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე და თანაბრად. აღნიშნული დადასტურდა სკოლის დოკუმენტაციის გაცნობით და ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან  და მასწავლებლებთან გასაუბრებით. მოსწავლეები ინტერვიუსას ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სკოლის ფოიეს სივრცე სრულ კომფორტს იძელვა იმისას, რომ მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესის შემდეგ დასხდნენ და იმუშაონ პროექტული შინაარსის დავალებებზე, მათ ასევე დასძინეს, რომ ახსენდებათ მომენტები, როდესაც მათი თხოვნის საფუძველზე ბიბლიოთეკარი არა სამუშაო დღეს-შაბათსაც კი მოსულა სკოლაში, რათა მოსწავლეებს შესძლებოდათ ბიბლიოთეკაში მუშაობა. უფლებების დაცვის გარანტიას წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი და ის ღონისძიებები, რასაც სკოლა ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების სათანადო წესით დამუშავებასა და დაცვას. მშობელები ინეტრვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ მათ მყისიერად მიეწოდებათ ნებისმიერი ინფორმაცია მოსწავლეთა  მიღწევასა თუ გადაცდენაზე სასკოლო სივრცეში, ამავე მიზნით ხშირად ეწყობათ მშობელთა კრებებიც. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს სადისციპლინო კომიტეტიც, სხდომებზე განხილული აქვთ მოსწავლეთა უფლებათა დაცვის რამდენიმე ქეისი, რის გამოძახიზეც, უკვე სადამრიგებლო პროგრამებში აისახა იმავე თემის-მოსწავლეთა ბულინგის გარშემო ცნობიერების ამაღლების მიზნით გაწერილი პროექტები, რამაც, როგორც მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა ინტერვიუირები გვიჩვენებს შედეგი გამოიღო და აღნიშნულ კლასებში მოსწავლეთა შორის ბულინგი აღმოფხვრილია. სკოლას ჰყავს დარაჯი და სამი მანდატური, რომელებიც ზრუნავენ საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე. შემუშავებულია სართულებზე მასწავლებელთა  მორიგეობის განრიგიც.

**ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის სამუშაო გეგმას, ქცევის კოდექსს და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია დერეფანში და ყოველი ცვლილება ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლაში თვალსაჩინოდაა გამოკრული მოსწავლის ქცევის კოდექსი, მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი გამოკრულია სამასწავლებლოში.

**ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

**3.** მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს ინდივიდუალური პრესონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალური ფორმები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

**ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- მშობელთა კრების ოქმი
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი( 2025 წლის 23 ოქტომბერი)
- სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისისN 1 საჯარო სკოლის მღჩევალთა საბჭოს სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელის
- სადამრიგებლო პროგრამა/დამრიგებელთა პორტფოლიო.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1. სკოლის ადმინისტრაციის წევრებმა გასაუბრების დროს განმარტეს, რომ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და

მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' თანახმად. აღნიშნული ბრძანებით ახდენს სკოლა სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურას. სკოლაში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის'' შესაბამისად. აღნიშნული საკანონმდებლო აქტების გათვალისწინებით სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრ.N2-254; 14/10/2025 დამტკიცებული აქვს ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი"

**რჩევა:** სასურველია, ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი" დაკორექტირდეს იმგვარად, რომ მასში გაწერილი საკითხებით რეგულირებოდეს საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა და სტატუსის შეჩერება.

**ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით და მოსწავლეთა პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 4 ეტაპად. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის და სტატუსის შეჩერებისა წესები

**ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. დამრიგებლებთან, მშობლებთან გასაუბრებითა და მშობელთა კრების ოქმებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლაში დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, სასკოლო ექსკურსიებისა და სკოლაში კონკრეტულ სასწავლო წელს შექმნილი კლუბების შესახებ. სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების, როგორც უფასო (ქიმიის, ბიოლოგიის,თეატრის-"ნორჩი ნატურალისტები", სამოქალაქო განათლბის, ლიტერატურის) ისე ფასიანი (ინგლისური ენის, ქართული, როგორც მეორე ენა, გახანგრძლივებული და ჭადრაკის) წრეები. მოსწავლეებისა და მშობლების არჩევანს მე-2 უცხოურ ენასთან დაკავშირებით სკოლის დირექცია ითვალისწინებს და ასახავს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ხელმისაწვდომია მშობლებისა და მოსწავლეებისათვის.

**ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა,

დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. აღნიშნული დასტურდება, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, დამრიგებლებთან და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით

**ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
- სკოლის შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- თვითმართველობის სხდომის ოქმი-3; 15/10/2025
- Emis.ge ერთიანი ბაზა
- გამოკითხვის ბმულები ( Google Forms).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებითა და პირველკლასელთა დამრიგებელთა პროგრამით/პორტფოლიოთი დადგინდა, რომ პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს და მოსწავლეებს ღია კარის დღეს, აცნობენ სკოლის სივრცეს და პასუხობენ მშობლების/კანონიერ წარმომადგენელბის მიერ დასმულ კითხვებს.უშაოლდ სწავლის დაწყების დღეს კი სკოლა აწყობს საზეიმო მიღებას, თეატრალური წარმოდგენებით, სკოლის დირექცია და პირველ კლასელთა დამრიგებლები ხვდებიან მოსწავლეებს, სასკოლო სახელმძღვანელოებისა და ბუკების გარდა მოსწავლეებს საჩუქრად გადასხემენ სკოლის ლოგოიან სანიშნს, რომელზეც დირექტორისმოსწავლეებისადმი  მთავარი გზავნილია ასახული. მაღალი კლასების მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით კი სკოლის დირექცია დამრიგებელს აცნობს მოსწავლეს, რომელიც წარუდგენს მას კლასის დანარჩენ მოსწავლეებსა და საგნების მასწავლებლებს, აცნობს სკოლის შენობას, ტერიტორიას, შინაგანაწესს და სკოლაში/კლასში დამკვიდრებულ წესებს. ადაპტაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება გასვლითი ღონისძიებები, ჯგუფური სამუშოები და  როლური თამაშები. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების მიღების პროცედურა და სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები, შემუშავებულია ტრანზაქციის მექანიზმები. სადამრიგებლო პროგრამებში ასევე გაწერილია დამრიგებლის მუშაობის მიმართულებები დამეგობრებისა და კლასში მეგობრული ატმოსფეროს დამკვიდრების მიმართულებით, რაც მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობის ნაწილია.

**ინდიკატორის 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის დამრიგებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, კლასების დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან ისეთი გარემო, რაც მათ დამეგობრებას შეუწყობს ხელს და რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მოსწავლის ადაპტაციის პროცესზე. სკოლას  ერიცხება 29  სსსმ მოსწავლე, რომელთაგან  5 ამავდროულად  შშმ მოსწავლეცაა. სკოლა ფლობს

ინფორმაციას ინკლუზიური სწავლების პრინციპებთან დაკავშირებით და შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სკოლას ჰყავს 4 სპეც. მასწავლებელი და 6 ასისტენტი

**ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ მოსწავლე სარგებლობს უფლებით სემესტრული გამოცდის საფუძველზე აიმაღლოს სემესტრული შეფასება, თუ თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს კონსულტაციებს უწევენ ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის წინ.მშობლებთან გასაუბრებამ და მასწავლებელთა პორტფოლიოების შესწავლამ ცხადყო, რომ პედაგოგები აქტიურად ეწევიან რემედიაციის პროგრამას მოსწავლეებთან შესაბამისად, დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

**ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4.მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს სივრცე სასკოლო ღონისძიებებისა და კონფერენციების მოსაწყობად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შინ სწავლების მომსახურებას, შესაბამისი წინაპირობისა და პროცედურის დაცვით. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ აქტივობებს, როგორიცაა ექსკურსიები, გასვლითი გაკვეთილები, ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებაში, შეჯიბრებები, კონფერენციები და სხვა. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად უწყობს ხელს მსგავსი არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, რასაც ადასტურებს სკოლაში განხორციელებული მუშაობა. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით მოეწყო იმიტირებული სასამართლოები, დაარსდა თეატრარული კლუბი, მოეწყო საახალწლო კარნავალი და სასკოლო ტერიტორიაზე თავისუფალი/მოსასვენებელი სივრცე. სკოლაში ხორციელდება საკლუბო მუშაობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით. შექმნილია ქიმიკოსთა და ფიზიკოსთა კლუბი STEM მიმართულებით ხორციელდება მცირე პროექტები. ასევე ეკოკლუბი, ქიმიის, ბიოლოგიის კლუბები ახორციელებენ დამატებით/არაფორმალურ აქტივობებს მოსწავლეებთან, სკოლის სხვა პედაგოგებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად.

**ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

6.მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების გასარკვევად დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს და მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწაველეთა ინტერების გათვალისწინებით და მათი/მშობლების უკუკავშირის საფუძველზე დაფუძნდა სასკოლო კლუბები.

აღნიშნული სახის უკუკავშირს იღებენ კითხვარების მეშვეობით. დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში.

**ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამები;
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- გამოკითხვის მასალები
- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა-კონცეპტუალური ნაწილი
- თვითმართველობის სხდომის ოქმი-3; 15/10/2025
- სკოლის ფეისბუკგვერდი: https://www.facebook.com/bolnisispirveliskola

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლა ახორციელებს პროფესიულ პროგრამას კომპიუტერული ქსელები და სისტემები, აღნიშნული პროგრამა განხორციელდა როგორც სახელმწიფო ინიციატივის, ასევე სასკოლო თემის ინტერესის გათვალისწინებით. როგორც საბაზო-საშუალო საფეხურის კლასების დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლა მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების და უნარების განვითარებაში. დამრიგებლები აქტუალური თემის ფარგლებში მოსწავლეებს უტარებენ საუბრებს პროფესიული უნარების განვითარების თაობაზე, რომლის ფარგლებშიც შედგა შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რომელთა უმეტესობა ამავე სკოლის კურსდამთავრებულნი იყვნენ. აგრეთვე დაგეგმილია მოსწავლეთა ვიზიტები სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებში.

**ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში, საბაზო და საშუალო საფეხურის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. ამ მიზნით დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს, იღებენ მათგან ინფორმაციას, თუ ვის რა პროფესიული განათლების მიღება ან სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძელება სურს. დამრიგებლები უზრუნველყოფენ აღნიშნული ინფორმაციის დირექციისათვის მიწოდებას, რომლის საფუძველზეც დირექცია უზრუნველყოფს უნივრსიტეტებთან ან/და კოლეჯებთან შეხვედრების ორგანიზებას, ადგილზე ვიზიტსა და გარემოს დათვალიერებას

**ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა პერიოდულობით იყენებს კითხვარებს, მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა აზრის გასაგებად მათ მიერ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობაზე, შედეგების გაანალიზების შემდეგ კი სასკოლო საზოგადოების აზრი გათვალისწინებული და ასახულია სკოლის ცხოვრებაში.

**ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამა
- გამოკითხვის მასალები
- პროფესიული სწავლების დოკუმენტაცია
- სტრატეგიული გეგმა
- სკოლის ფეისბუკგვერდი: https://www.facebook.com/bolnisispirveliskola

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს 29 სსსმ, რომელთაგან 5 შმმ -პირია. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პრაქტიკა. სკოლას გააჩნია სათანადო სასწავლო რესურსებით აღჭურვილი რესურს-ოთახი. სპეციალური საჭიროების გადამზადებული 4 მასწავლებელი და 6 ასისტენტი.

**ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმში მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობით. ამ ჯგუფში შედიან: კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, მშობელი და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები. ასევე, დოკუმენტში ნათქვამია, რომ მშობელი აქტიურად არის ჩართული როგორც ისგ-ის შემუშავებაში, ასევე მისი განხორციელების მონიტორინგში. აღნიშნული დაადასტურეს სპეციალურმა მასწავლებლებმა. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას, მოსწავლეთა შორის თანამშრომლობას, ჯგუფურ მუშაობას, პროექტებში მონაწილეობას და საერთო პასუხისმგებლობის განცდას. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის სპეციალური პედაგოგთან ინტერვიურებითაც ჩანდა, რომ აღნიშნული პროცესების განხორციელება ხდება წარმოდგენილი მექანიზმების მიხედვით, როგორც მშობელი, ასევე სპეციალური მასწავლებელი აქტიურად არიან ჩართულნი სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში, გადაწყვეტილებების მიღებაში, ინდივიდუალური გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. რესურსოთახის დათვალიერებით და პორტფოლიოების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სსსმ მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასკოლო ღონისძიებებში.

**ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა-კონცეპტუალური ნაწილი
- სკოლის დირექტორის 2025 წლის14 ნოემბრის ბრ. N 2-255-ით დამტკიცებული - სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები
- სსსმ მოსწავლეთა პორტფოლიოები

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლა, დამატებითი არასავლდებულო მომსახურების ფარგლებში მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს: ტრანსპორტს, რომელიც სისტემატიურად კონტროლდება უფლებამოსილი პირების მიერ, გახანგრძლივებული სწავლება, ფასიანი წრეები (ინგლისური ენის, ქართული, როგორც მეორე ენა და ჭადრაკი), კვების ობიექტი, რომელიც აღჭურვილია სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურით. დანერგილია „HACCP" სტანდარტები, რომლითაც რეგულირდება სურსათის უსაფრთხოების მართვის სისტემა.

**ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია**

2. ტრანსპორტირების პროგრამა ხორციელდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პროგრამის ფარგლებში. კვების ბლოკის იჯარით გაცემა განხორციელდა სკოლის სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. გახანგრძლივებული სწავლება ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას და მშობლების სურვილით არიან მოსწავლეები ჩართულნი შესაბამისის ხელშეკრულების საფუძველზე. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა განცხადებები გახანგრძლივებულში მოსწავლის მიღებასთან დაკავშირებით. გახანგრძლივებული სწავლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც. ინტერვიუს დროს მშობლების მხრიდან დაფიქსირდა კმაყოფილება აღნიშნული სერვისის არსებობაზე.

**ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია**

3. მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებით, მძღოლისადმი წაყენებული საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით. ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება დილით სახლიდან - სკოლამდე და გაკვეთილების დასრულების შემდეგ სკოლიდან- სახლამდე მიყვანით. აღნიშნული დასტურდება ხელმოწერილი ტაბელებით.
კვების ბლოკი ფუნქციონირებს შესაბამისი  მოთხოვნების დაცვით.
გახანგრძლივებული სწავლება მიმდინარეობს სკოლაში არსებული უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. გახანრძლივებულ სწავლებაზე პასუხისმგებელ პირთან სკოლას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება.

**ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- ელექტრონული აუქციონის მასალები
- იჯარის ხელშეკრულება
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება (გახანგრძლივებული წრე)
- გახანგრძლივებული წრის მასწავლებლეთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება
- ტრანსპორტირების ტაბელი

შეფასება:
- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**თარიღი: 02/03/2026**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

Maka

Digitally signed
by Maka

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: